კოკა ყანდიაშვილის ახალი „იმედი"

საქართველოს ტელევიზიის მე-2 არხიდან და „აუდიენციის" ხელმძღვანელის პოსტიდან კოკა ყანდიაშვილის წასვლის შესახებ ბოლო ხანს გავრცელებული მითქმა-მოთქმა გამართლდა: 30 ნოემბერს ბატონმა კოკამ ქართულ საზოგადოებრიობას სიახლე აუწყა — საქართველოში კიდევ ერთი ტელეკომპანია გაჩნდა, სახელწოდებით „იმედი" (როგორც შევიტყვეთ, ტელეკომპანიის სახელწოდება ჯერ დაზუსტებული არ არის), რომლის გენერალური დირექტორიც სწორედ კოკა ყანდიაშვილია. კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში გამართულ „იმედის" პრეზენტაციაზე მნიშვნელოვან და საინტერესო საზოგადოებას მოეყარა თავი: მათი უმეტესობა ცნობილი კინორეჟისორები და მსახიობები გახლდნენ, რაც შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. მოკლედ, სიახლის შესახებ თავად ***კოკა ყანდიაშვილს*** *ვესაუბრეთ:*

— თქვენი ინიციატივით შექმნილმა ტელესერიალმა „ძილის წინ" ბოლო ხანს თქვენზე საერთაშორისო მასშტაბის ძიება გამოაცხადა. მე-2 არხიდან გასულხართ და მგონი უკან დაბრუნებას აღარ აპირებთ. რა ხდება, სად იყავით „დაკარგული"?

— როცა გაიგეს, რომ წასვლას ვაპირებდი როგორც მე-2 არხიდან, ისე „აუდიენციიდან", ტელესერიალში დაიწყეს ასე ვთქვათ „ჭორაობა". სხვათა შორის, ამ სერიალთან არავითარი შეხება აღარა მაქვს, ისევე როგორც „აუდიენციის" სხვა პროექტებთან, გარდა „დიდების ზღაპრისა" და „მიამბეთ თქვენზე". ვიყავი წასული უცხოეთში საქმეზე. არსად არ დავკარგულვარ (იცინის), კუბაში, პარიზსა და მოსკოვში ვესწრებოდი ტელეაკადემიის სხდომებს. დაბრუნების შემდეგ ოფიციალურად დავტოვე სახელმწიფო ტელევიზია, „აუდიენცია" და ჩავუდექი სათავეში ახალ ტელევიზიას.

— რომელიც ვის ეკუთვნის, ვისია?

— ჩემი. მე ვარ ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი.

— კი მაგრამ, დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილია, — ამბობენ.

— „იმედს" ჰყავს უამრავი დამფუძნებელი ამერიკული და ევროპული ფირმებიდან. მათი ჩამოთვლა გამიჭირდება, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ბატონი ბადრიცაა, თუმცა ეს ტელეკომპანია მხოლოდ მისი არ არის. ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ამერიკული კომპანია „უნივერსალი", რომელთან ერთადაც ვმუშაობთ საერთო კონცეფციაზე. ტელეკომპანიის შესახებ უფრო კონკრეტულ ინფორმაციას უახლოეს მომავალში დიდ პრესკონფერენციაზე მიიღებთ.

— როგორც თქვენი დღევანდელი გამოსვლიდან გახდა ცნობილი, „იმედის" პირველი პროექტი ახალწლის ღამეს გავა მე-2 არხის ეთერში. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც მე-2 არხი?

— ჩვენ და საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტი ერთად ვმუშაობთ ამ პროექტზე, ანუ 5 საათიან საახალწლო ფილმზე, რომელიც ახალი წლის ღამით გავა მე-2 არხის ეთერში, 1 იანვარს კი — 1 არხი გაიმეორებს. მაისიდან დაიწყება „იმედის" საცდელი გადაცემები, ხოლო სექტემბერში გაიხსნება ტელეკომპანია, რომელიც ეცდება თანამედროვე სატელევიზიო ხერხებით დაამკვიდროს საქართველოში ტელე-მოდა ანუ ილაპარაკოს ყველაფერზე, მაგრამ პროფესიონალურ დონეზე.

— მეორეარხელები იმედოვნებდნენ, რომ თქვენი შემწეობით ექნებოდათ საუკეთესო სამუშაო პირობები და საერთაშორისო სტანდარტების დონის ანაზღაურება. ახლა ალბათ გულდაწყვეტილები არიან. „იმედზე" რა სიტუაცია იქნება, უნივერსალურ ტელევიზიაში უნივერსალური ანაზღაურება იქნება?

— როცა შემომთავაზეს ახალი საქმე, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილმაც, დავინახე, რომ სასურველი და საყვარელი საქმის კეთების მეტი შანსი მეძლეოდა, რომ შევძლებდი შემექმნა ძლიერი ტელეკომპანია ყველანაირი გაგებით. ამიტომაც სიამოვნებით მივიღე ეს შემოთავაზება. ასეთი შანსი ნაკლებად იყო მე-2 არხზე ბევრი მიზეზის გამო. მე თანავუგრძნობ მათ და ძალიან მინდა, რომ მხარში დავუდგე, რადგან სახელმწიფო ტელევიზიაში მუშაობს უნიკალური ხალხი. მათ ბევრი რამ შეგვინარჩუნეს და ამას ალბათ, მომავალში უფრო დავინახავთ.

„იმედის" პრეზენტაციაზე შეკრებილთა შორის ***გიორგი ხარაბაძესაც*** *გავესაუბრეთ, ცნობილი მსახიობის გოგი ხარაბაძის უფროს ვაჟს, რომელიც „იმედის" პირველი პროექტის გენერალური პროდიუსერია.*

— დღეს, 30 ნოემბერს ვიწყებთ მუშაობას 5-საათიანი საახალწლო ფილმის გადაღებაზე და ყოველდღე მოგვიწევს 24-საათიანი მუშაობა. იმედი მაქვს, 1 იანვრიდან 1-2 დღე კარგად ვიქეიფებ, ცოტას გამოვიძინებ და სამომავლო სანახაობებზე ვიფიქრებთ. თუ როგორ, ამას უკვე ახალი წლის ღამით ფილმის ნახვის შემდეგ განსჯით.

ეკა ლომიძე

გარანტია 1 წელი
კომპიუტერები,
პრინტერები,
სკანერები,
ორგტექნიკა,
აქსესუარები,
სახარჯი მასალები,
სავარძლები,
მაგიდები.
პროგრამების ინსტალირება,
კონსულტაციები.
☎ 92-02-14
Fax 22-59-06
მცხეთის ქუჩა №2

MANTEX Computers მანტექსი
კომპიუტერული ტექნიკა
ქსელები
მომსახურება, რემონტი
ინტერნეტი.
თბილისი, ჭავჭავაძის 5.
ტელ: 252848; ფაქსი: 233510

ორშაბათი 3 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15 Что? Где? Когда? 12.20 Док. детектив 12.50 Библиомания 13.15 КВН 14.10, 16.15 Фильм "КРЕСТНЫЙ ОТЕЦ-2" 18.00 Большая стирка 19.25 С легким паром 20.00 Жди меня 21.00 Кто хочет стать миллионером? 22.00 Время. 22.35 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 23.45 Независимое расследование 01.00 На футболе 01.30 "Ночная смена". Д. Диброва

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Москва-Минск 10.15 Фильм "ГУДЗОНСКИЙ ЯСТРЕБ" 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.20 Семь дней с Морси 13.30 Вести недели 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "FM И РЕБЯТА" 18.30 Фильм "ОСТРОВ МАККИНСИ" 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 21.55 Детектив "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ОПАСНОСТЬ В ДОМЕ НА ОКРАИНЕ" 00.00 Вести + Подробности 00.40 Фильм "АМЕРИКЭН БОЙ"

სამშაბათი 4 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15 Жди меня 11.10 С легким паром 11.40 Кто хочет стать миллионером? 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Фильм "ЛАРЕЦ МАРИИ МЕДИЧ" 14.50 Независимое расследование 15.35 Дисней-клуб 16.15 Что да как 16.35 Царь горы 17.00, 22.35 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 18.00 Большая стирка 19.25 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ" 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 21.00 "Слабое звено" 22.00 Время. 23.45 Док. фильм 01.00 Цивилизация 01.30 "Ночная смена". Д. Диброва

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Дежурная часть 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.20 Семь дней с Морси 13.30 "Рядом с тобой" 14.30 Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "ЛЕДИ И РАЗБОЙНИК" 21.55 Фильм "МИЛЛИОН - ПОБЕДИТЕЛЮ" 00.00 Вести + Подробности 00.40 Док. фильм 01.40 Фильм "ГОРЕЦ-3"

ოთხშაბათი 5 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.10 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ" 11.40 Слабое звено 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Фильм "ПОСЛЕДНЕЕ ДЕЛО КОМИССАРА БЕРЛАХА" 15.05 Ералаш 15.15 Док. фильм 16.15 Семь бед - один ответ 16.35 Программа 100% 17.00, 22.35 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 18.00 Большая стирка 19.25 Смехопанорама 21.00 Последний герой 22.00 Время. 23.45 Как это было 01.00 "Крылья" 01.30 "Ночная смена"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Мультфильм 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 11.05 Два рояля 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.20 Семь дней с Морси 13.30 Два рояля 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "FM И РЕБЯТА" 18.30 Фильм "ХИЩНИКИ" 21.55 Фильм "МАФИЯ БЕССМЕРТНА" 00.00 Вести + Подробности 00.40 Док. фильм 01.40 Фильм "ПЛОЩАДЬ ВАШИНГТОНА"

ხუთშაბათი 6 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.10 Смехопанорама 11.40 Кто хочет стать миллионером? 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Фильм "КАКИЕ НАШИ ГОДЫ" 14.45 Жизнь замечательных людей 15.15 Как это было 16.15 Что да как 16.35 КОАПП 17.05 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 18.00 Большая стирка 19.25 Сами с усами 21.00 "Слабое звено" 22.00 Время. 22.35 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 23.45 Человек и закон 01.00 Сати 01.30 "Ночная смена"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Открытая таможня 10.15 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 11.05 Сам себе режиссер 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.20 Семь дней с Морси 13.30 Моя семья 14.30 Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "ПИРАТЫ XX ВЕКА" 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 21.55 Фильм "КРАСНАЯ ЖАРА" 00.00 Вести + Подробности 00.40 Фильм "Я ЛЮБЛЮ ТЕБЯ ДО СМЕРТИ"

პარასკევი 7 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 20.00 "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ". Сериал. 11.10 Сами с усами 11.40 Слабое звено 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Фильм "ФИКТИВНЫЙ БРАК" 14.35 Серебряный шар 15.15 Человек и закон 16.15 Возможно все 16.35 Звездный час 17.00 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 18.00 Большая стирка 19.25 Док. детектив 21.00 Поле чудес. 22.00 Время. 22.35 Фильм "ЗА ПОСЛЕДНЕЙ ЧЕРТОЙ" 00.40 "В другое время" 01.35 Фильм "ТЕНЬ СОМНЕНИЯ"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Тысяча и один день 10.15, 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 11.10 Новая "Старая квартира" 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.20 Семь дней с Морси 13.30 Моя семья 14.30 "Что хочет женщина" 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "ЗНАКОМСТВО" 19.00 Пресс-клуб 21.55 Фильм "ТРЕТИЙ НЕ ЛИШНИЙ" 00.20 Концерт 01.55 Горячая десятка

შაბათი 8 დეკემბერი

07.50 Фильм "31 ИЮНЯ" 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости 09.10 Мультфильм 09.25 Слово пастыря 09.45 Зов джунглей 10.10 Эх, Семеновна 10.50 Библиомания 11.10 Смехопанорама 11.45 Смак 12.05 КВН 13.00 В мире животных 13.40 Здоровье 14.20 Чтобы помнили... 15.00 Крылья 15.30 Дисней-клуб 16.10 Концерт 17.25 Фильм "ЖАРКОЕ ЛЕТО В КАБУЛЕ" 19.15 Концерт 20.00 Кто хочет стать миллионером? 21.00 Последний герой 22.00 Время 22.30 Что? Где? Когда? 23.40 Фильм "БОЛЬШОЙ ПЕРЕПОЛОХ В МАЛЕНЬКОМ КИТАЕ" 01.35 Фильм "СТРАНА ГОР И РАВНИН"

07.40 "Диалоги о рыбалке". 08.05 Сериал "ЗАТЕРЯННЫЙ МИР" 09.00 "Папа, мама, я - спортивная семья" 09.45 Телепузики 10.10 Золотой ключ 10.30 Здоровье и жизнь 11.00 Почта РТР 11.30 Доброе утро, страна 12.05 Сто к одному 12.55 "Рядом с стабой" 13.55 Док. фильм 15.00, 21.00 Вести. 15.20 Фильм "ИВАН БРОВКИН НА ЦЕЛИНЕ". 17.00 Алла Пугачева. "Вспоминая Рождество...". 1988-1989 гг., 1989-1990 гг. 19.00 Моя семья 19.55 Аншлаг 21.25 Зеркало 22.00 Фильм "ОТЧАЯННЫЙ" 00.05 Фильм "КРИКУНЫ"

კვირა 9 დეკემბერი

07.50 Фильм "31 ИЮНЯ" 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Армейский магазин 09.35, 15.30 Дисней-клуб 10.00 Утренняя звезда 10.50 Библиомания 11.10 Непутевые заметки 11.30 Пока все дома 12.05 Док. детектив 12.35 Клуб путешественников 13.15 Детектив "ТАЙНЫ ОТЦА ДАУЛИНГА" 14.15 Сами с усами 14.50 Умницы и умники 15.15 Сокровища Кремля 16.10 Фильм "ИСКРЕННЕ ВАШ..." 17.50 Живая природа 19.20 Спецрепортаж 19.50 Фильм "ТРИ ПЛЮС ДВА" 21.30 Боевик "СЛОМАННАЯ СТРЕЛА" 23.30 Времена 00.45 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ" 01.40 Фильм "МЕХАНИК"

07.50 Фильм "ДЕЛО "ПЕСТРЫХ" 09.25 Телепузики 09.50 Русское лото 10.40, 19.10 "ТВ-Бинго шоу" 11.20 Доброе утро, страна 12.00 Сам себе режиссер 12.55 Городок 13.35 Федерация 14.10 Парламентский час 15.00, 21.00 Вести. 15.20 Диалоги о животных 16.25 Вокруг света 17.30 Мультфильм 18.05 Фильм "КОМИССАР РЕКС" 19.15 Аншлаг 20.20 Городок 21.55 Фильм "ЗАВИСТЬ БОГОВ" 00.35 Фильм "ТВИН ПИКС" 01.40 Спорт за неделю

ვინ არიან გადარეული „ტოროლები", რას საქმიანობს „ავანტიურისტი" მამუკა ღლონტი და არის თუ არა „ვაკაჩი" სექსუალური მანიაკი

ტელეკომპანია „პირველ არხზე" სტუდია „მაესტროს" გამოჩენის შემდეგ უამრავი სალაპარაკო თუ საჭორაო გაჩნდა. სტერეოტიპულ, დახვეწილ (მეძლებისდაგვარად) ტელეპროგრამებს მიჩვეულმა მაყურებელმა ეკრანზე იხილა უჩვეულო გადაცემები ორიგინალურ წამყვანებთან ერთად. ზოგი თურმე დაიბნა, ზოგმაც პირველ დღეებშივე აკრიფა ტელეფონის ნომერი და პირდაპირ ეთერში „ტოროლებთან" ერთად აჭიკჭიკდა. ზოგმაც მრისხანება ვერ დაფარა „უმსგავსო საქციელის" მქონე ტელეწამყვანების გამო და მეზობლებთან ერთად ნაირ-ნაირი ჭორიც გამოაცხო, რის მიხედვითაც ეს გადარეული „ტოროლები" თუ „ოლოლები" — ნანიკო და ნიკა ძნელად აღსაზრდელთა სკოლა-ინტერნატში გაზრდილები ყოფილან, სადაც ჰუმანიტარული დახმარების ტვირთით მისულ მამუკა ღლონტს მოსწონებია ისინი და „მაესტროში" წამოუყვანია მოზარდ ტელემაყურებელთა „აღსაზრდელად". ჭორებს თუ დავუჯერებთ, სტუდია „მაესტროს" შეფი მამუკა ღლონტიც დიდი ავანტიურისტი ვინმე ყოფილა, უცხოური ავტომანქანებისა და სიგარეტის ბიზნესში დიდი წილი ჰქონია და იქიდან მიღებული შემოსავლით აფინანსებს თურმე სტუდია „მაესტროს" გადაცემებს. ასეა, ასე, კაცი პოპულარული რომ გახდები და ყველას თვალში მოხვდები, იტყვიან მერე რაღაცას, აბა რას იზამენ, მაგრამ ცუდი ისაა, ამდენ მიეთ-მოეთში სიმართლის გარკვევა რომ ჭირს. მაინც ვინ არიან გადარეული „ტოროლები", რას საქმიანობს „ავანტიურისტი" მამუკა ღლონტი და არის თუ არა „ვაკაჩი" სექსუალური მანიაკი, ამას ჩვენთან ერთად შეიტყობთ „მაესტროში" სტუმრობისას. „პირველ სტერეოზე" გაჩაღებული მუშაობის მიუხედავად, აშკარად არაკაბინეტური განწყობა იგრძნობა — რბილ სავარძელში მონებივრე კატა „დურაც" სწორედაც ოჯახურ ატმოსფეროს შთაბეჭდილებებს აძლიერებს. სხვათა შორის, როგორც „მაესტროელებმა" მითხრეს, „დურა" ერთადერთი „თანამშრომელია", რომელზეც თურმე ჯერ არავინ ჭორაობს. „მაესტროში" ჩემი პირველი მასპინძლებიც „დურა" და მისი მეგობარი მამუკა ღლონტი იყვნენ.

— მამუკა, ეტყობა, ბავშვობაში ბევრი სათამაშო გქონდა...

— არც ისე ბევრი. არა, მართლა არ ვყოფილვარ განებივრებული.

— აბა, სულ ასე ყმაწვილური განწყობილების შენარჩუნებას როგორ ახერხებ?

— ცხოვრება მაიძულებს. „მაესტრო" ისე მდიდარი არ არის, რომ შეცდომები დაუშვას და მოსაწყენი გახდეს. ჩვენ ჯუნგლებში გაზრდილი ბავშვებივით ვართ, (მაიმუნები რომ ზრდიან მაუგლის) და არსებული კონკურენცია გვაიძულებს, მაქსიმალურად ორიგინალურები და მხიარულები ვიყოთ. ჩვენ ყველაფერს სრულიად მარტონი მხოლოდ დიდი შრომის შედეგად ვაღწევთ. „მაესტროში" საერთო გონი მუშაობს წარმატებისთვის, მე, როგორც პროდიუსერი, იდეებს ვახარისხებ და ვგეგმავ, როდის რა უნდა გავიდეს ეთერში და ვინ უნდა შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო.

— მახსოვს, „პირველ სტერეოზე" გადმოსვლის წინ მითხარი, მთელ შემოქმედებით ჯგუფს 6 თვის განმავლობაში ენთუზიაზმით მოუწევს შრომა. რა ხდება, ისევ უხელფასოდ მუშაობთ?

— საბედნიეროდ, „პირველი სტერეოს" ეთერში გასვლის პირველსავე კვირაში შეაფასეს ჩვენი საქმიანობა არა მარტო ქართველმა, არამედ უცხოელმა ბიზნესმენებმაც, რითაც ძალიან გახარებული ვართ. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ხელშეკრულებებიც გავაფორმეთ, მომავალი წლიდან უამრავ ახალ პროექტს შემოგთავაზებთ. ჩვენთან რეკლამის განთავსების მსურველები გაჩნდნენ.

— ხმა გავარდა, 1 არხზე „ამბობენ" და „პასეანსიც" აღარ იქნებაო.

— ორივე გადაცემა 1 ივნისამდე დარჩება იქ, სადაც არის.

— „მაესტროს" გადაცემებში მგონი, ყველაზე ორიგინალური „რესტორნის ხუთეული" უნდა იყოს. როგორ გაჩნდა იდეა?

— „რესტორნის ხუთეული", ასე ვთქვათ, პროვოკაციული გადაცემაა, რომელიც მოსწონთ ან არ მოსწონთ. მსოფლიოს საუკეთესო კლიპების, ცნობილი ვარსკვლავების გვერდით რომ რესტორნის მომღერლები ჩნდებიან, მგონი, მართლაც უჩვეულოა. სხვათა შორის, მათ შორის ბევრი ძალიან ნიჭიერია, ამის განსჯის უფლებაც მაყურებელს აქვს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ პირველ სტერეოზე „რესტორნის ხუთეული" მამაჩემის საყვარელი გადაცემაა. მისი გაკეთების იდეა კი მცხეთაში ქეიფის დროს გაჩნდა. ჩვენს გუნდში ვიღაცას მოუვიდა თავში აზრად, თქვა და ვიფიქრეთ, რატომაც არ უნდა გადავიღოთ და ვაჩვენოთ ეს მომღერლებიო.

— ალბათ რესტორნების ხელმძღვანელობა სიხარულით დაგთანხმდათ თანამშრომლობას.

— თავიდან ძალიან ბევრ რესტორანში უარი გვითხრეს გადაღებებზე.

— „პრეს-პრესით", „პაპარაცით" და საერთოდ ბევრი გადაცემით ძირითადად მომღერლებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებს ეხებით. როგორ ფიქრობთ, ძალიან ხომ არ ვათამამებთ და ვანებივრებთ მათ?

— ეგენი უნდა გავათამამოთ, აბა, ვინ? მკვლელები, მექრთამეები და მამაძაღლები? ასეთებზე საერთოდ არაფერი არ უნდა ვთქვათ, რომ მათგან გმირი არ შეიქმნას, ისეთ ხალხზე უნდა ვწეროთ, ვინც სულ სილამაზეს, ხელოვნებას ემსახურება და ბოროტი გული არ უდევს მკერდში.

— საზოგადოების ნაწილი მასმედიას აბრალებს არაპროფესიონალი შოუმენების გაპოპულარებას.

— ყველას და ყველაფერს აქვს არსებობის უფლება. თუ მე მომღერალი არ მომწონს და იმას თავისი თაყვანისმცემლები ჰყავს, რა უფლება მაქვს, მათ სასურველი ინფორმაცია არ მივაწოდო?

— სპონტანურად ხდება ყველაფერი, თუ წინასწარ მომზადებული სცენარი გაქვთ?

— თითქმის სულ სპონტანურად ხდება ჩაწერა. ძალიან სწრაფად ვახდენთ იდეის რეალიზებას, რომ არ დაძველდეს. ხანდახან 5 წუთით ადრე შეგვიცვლია გადაწყვეტილება და სრულიად სხვა გადაცემა გაგვიშვია ეთერში.

(გაგრძელება იხ. გვ. 22)

ჯორჯ ჰარისონი გარდაიცვალა

30 ნოემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 58 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ლივერპულელი ოთხეულის, მსოფლიოში უპოპულარესი როკ-ჯგუფის „ბითლზის" გიტარისტი ჯორჯ ჰარისონი. კრემაციის შემდეგ მუსიკოსის ფერფლს გადაასვენებენ ინდოეთში, სადაც კრიშნაიზმის რიტუალით მოხდება დაკრძალვა.